ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ო. ფ. ადვოკატ ც. ჯ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

დავით კაკაბაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ო. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.03.11

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N 022/11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ც. ჯ. /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ც. ჯ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე –კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2011 წლის 1 მარტს საქართველოს მოქალაქე ო. ფ.-მ მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ც. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იგი გახლავთ სს ,,გ. მ. #11”-ის დირექტორი. ო. ფ. აღნიშნავს, რომ საწარმო წინა ხელმძღვანელობის არასწორი მენეჯმენტის გამო ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და სასამართლო დავებში განსაკუთრებით აქტიურობს სს ,,ბ. რ.”.

1.3. საჩივრის მიხედვით, 2010 წლის გაზაფხულზე ო. ფ.-მ, როგორც სს ,,გ. შ. 11”-ის თავდებმა ფიზიკურმა პირმა, მიიღო შეტყობინება თბილისის სააპელაციო სასამართლოდან სს ,,ბ. რ.-ის” სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო სააღსრულებო ფურცლის გამოწერის თაობაზე.

1.4. ო. ფ. აღნიშნავს, რომ იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა ქ. ღ.-ს, რომელმაც ადვოკატების სახელით გაუფორმა ხელშეკრულება 1 000 აშშ დოლარზე და დაახლოებით 3000 აშშ დოლარი დამატებით გამოართვა. ო. ფ. აღნიშნავს, რომ ქ. ღ.-ის თხოვნით მის სახელზე გადააფორმეს სს ,,გ. შ. 11”-ის აქციების 34%, რადგან ქ. ღ. მიიჩნევდა, რომ ამ გზით გამარტივდებოდა დაშლილი საწარმოს მართვა მენეჯმენტისა და იურიდიული მიმართულებით და დავის დასრულების შემდეგ, ქ. ღ. დაუბრუნებდა მათ აქციებს.

1.5. ო. ფ. აღნიშნავს, რომ ქ. ღ. არ გამოდიოდა სასამართლო პროცესებზე, მის ნაცვლად პროცესებზე გამოდიოდნენ ადვოკატები ც. ჯ. და ლევან პატარქალაშვილი.

1.6. ო. ფ. განმარტავს, რომ ადვოკატი ც. ჯ. წარმოადგენდა და იცავდა სს ,,გ. მ.-ის” ინტერესებს ,,ბ. რ.-ის” წინააღმდეგ 2010 წლის 9 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

1.7. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მათ არაფერი არ გაუკეთებიათ საწარმოს საკეთილდღეოდ და სააღსრულებო ფურცელის გაცემასთან დაკავშირებული დავა კვლავ გრძელდება სასამართლოში.

1.8. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ საბოლოოდ სს ,,გ. შ. 11”-მა მოითხოვა ქ. ღ.-ისაგან აქციების უკან დაბრუნება და ურთიერთობის შეწყვეტა, რაზეც უარი მიიღეს.

1.9. ო. ფ. აღნიშნავს, რომ მან, როგორც სს ,,გ. შ. 11”-ის დირექტორმა, შეიტანა სასარჩელო განცხადება აქციების საზოგადოებისათვის დაბრუნების მოთხოვნით და ქ. ღ.-ის 34% წილს დაადეს ყადაღა.

1.10. ო. ფ. აღნიშნავს, რომ 2011 წლის 11 თებერვალს ადვოკატმა ც. ჯ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სააქციო საზოგადოების სახელით და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

1.11. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ სარჩელზე უარს თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე განცხადება გაკეთებულია მასთან შეთანხმების გარეშე და არ შედიოდა მის ინტერესებში. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ც. ჯ.-მ განცხადებას დაურთო მის მიერ ზაფხულში გაცემული მინდობილობა, რომელიც სს ,,ბ. რ.-სთან” დავის პროცესში იყო გაცემული და ფაქტიურად აღარ იყო მოქმედებაში. სასამართლომ ც. ჯ.-ის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

1.12. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 15 თებერვალს ქ. ღ.-მ მიმართა სასამართლოს ყადაღის გაუქმების მოთხოვნით, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა. ო. ფ. აღნიშნავს, რომ 2011 წლის 18 თებერვალს დაინიშნა სასამართლოს სხდომა, რის თაობაზეც შეტყობინება ჩაბარდა ადვოკატ ც. ჯ.-ს, რომელმაც არ აცნობა მას სხდომის თაობაზე.

1.13. ო. ფ. აღნიშნავს, რომ მან მოგვიანებით შეიტყო, რომ სხდომა ჩატარდა და სხდომაზე გამოცხადდა ც. ჯ., როგორც მისი წარმომადგენელი და კვლავ მოითხოვა საქმის შეწყვეტა, თუმცა მოსამართლე დაეჭვდა მის ქმედებებში და გადადო საქმის განხილვა. ო. ფ. უთითებს, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის ქმედებებთან დაკავშირებით სასამართლოში წარადგინა საჩივარი.

1.14. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ც. ჯ. მოქმედებდა მისი ინტერესების წინააღმდეგ, რადგან მას არ დაუვალებია სასამართლოში წარედგინა განცხადება სარჩელზე უარს თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე; ასევე მის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი შეეხებოდა არა მხოლოდ ქ. ღ.-ის, არამედ ადვოკატ ც. ჯ.-ის უკანონო ქმედებებს და მოცემულ შემთხვევაში ც. ჯ.-ს არ ჰქონდა საქმის წარმოების უფლებამოსილება.

1.15. ო. ფ. აღნიშნავს, რომ 2011 წლის 1 მარტს ც. ჯ.-ზე გაცმული მინდობილობა ნოტარიუსის ძალით გაუქმებულია.

1.16. 2011 წლის 17 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ იგი ეთანხმება საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებს და მის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე მიცემულ ახსნა-განმარტებას.

1.17. საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე დამატებით აღნიშნა, რომ საჩივრის წარმოდგენის შემდეგ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ დარღვევები გაძლიერდა. კერძოდ, მოწვეული იქნა სს ,,გ. მ. #11”-ის აქციონერთა კრება, რომლის გადაწყვეტილებითაც იგი გაათავისუფლეს გენერალური დირექტორის თანამდებობიდან და აღნიშნული პოზიცია დაიკავა ადვოკატმა ც. ჯ.-მ. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ქმედებები განხორციელდა კანონის ნორმების დარღვევით.

2. ადვოკატ ც. ჯ.-ის განმარტების მიხედვით:

2.1. ადვოკატი ც. ჯ. 2011 წლის 14 მარტს საპროცესო კოლეგიასთან შეხვედრაზე არ გამოცხადდა და არ წარმოადგინა ახსნა-განმარტება ო. ფ.-ს საჩვართან დაკავშირებით.

2.2. 2011 წლის 17 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადნენ ადვოკატი ც. ჯ. და მისი წარმომადგენელი ქ. ღ..

2.3. ადვოკატ ც. ჯ.-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილი იყო საჩივრის თაობაზე და საპროცესო ეტაპზე არ ჩათვალეს საჭიროდ წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია. წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეში იყო ო. ფ.-ს მიერ ც. ჯ.-ის სახელზე გაცემული ორი მინდობილობა: ერთ შემთხვევაში ადვოკატი ც. ჯ. იცავდა ო. ფ.-ს, როგორც

ფიზიკურ პირს, ხოლო მეორე შემთხვევაში ო. ფ.-ს მიერ მინდობილობა გაცემული იყო ც. ჯ.-ზე, როგორც სს ,,გ. მ. #11" სამეთვალყურეო საბჭოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსზე.

2.4. ც. ჯ.-ის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ო. ფ.-ს, როგორც ფიზიკური პირის მიერ, ც. ჯ.-ზე გაცემული მინდობილობა გაუქმებულია, ხოლო მეორე მინდობილობა ო. ფ.-ს მიერ დღემდე არ არის გაუქმებული.

2.5. ქ. ღ.-მ მიუთითა, რომ ო. ფ.-ს პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ც. ჯ. მისი მოწინააღმდეგე მხარის (ქ. ღ.-ის) ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა, გაურკვეველია, რადგან ც. ჯ. იყო სამეთვალყურეო საბჭოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი და არა გენერალური დირექტორის, ხოლო თავად ქ. ღ. წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.

2.6. ადვოკატ ც. ჯ.-ის წარმომადგენელი უთითებს, რომ სს ,,გ. მ. #11"-ის მიერ ადვოკატ ც. ჯ.-ზე გაცემული იყო გენერალური მინდობილობა, რომლის თანახმადაც ადვოკატ ც. ჯ.-ს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა სარჩელზე. ადვოკატ ც. ჯ.-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მინდობილობა არის ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების დამადასტურებელი. შესაბამისად, როდესაც კლიენტის მიერ მინდობილობა არის გაცემული, ადვოკატი აღარ არის ვალდებული ყოველი ნაბიჯი შეათანხმოს კლიენტთან და უნდა იმოქმედოს მინდობილობის საფუძველზე. ადვოკატ ც. ჯ.-ს მინდობილობით ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება უარი ეთქვა სარჩელზე და მან განახორციელა აღნიშნული საპროცესო მოქმედება.

2.7. ქ. ღ.-მ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ო. ფ.-მ 2011 წლის 1 მარტს შემოიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში, 2011 წლის 9 მარტს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე ო. ფ. მოხსნეს დირექტორობიდან და გენერალურ დირექტორად დანიშნეს ადვოკატი ც. ჯ..

2.8. წარმომადგენელი უთითებს, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ეთიკის კოდექსი და ხელმძღვანელობდა სააქციო საზოგადოების ინტერესებით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2011 წლის 1 აპრილს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ც. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-5 მუხლი; ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.

სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. 2011 წლის 11 თებერვალს ადვოკატმა ც. ჯ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სააქციო საზოგადოება ,,გ. მ. #11"-ის სახელით და მოითხოვა ო. ფ.-ს მიერ 2011 წლის 28 იანვარს წარდგენილ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა და 2011 წლის 25 იანვრის განჩინების გაუქნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ო. ფ.-ს 2011 წლის 1 მარტის საჩივარი (მე-2 გვ; მე-4 აბზაცი)

2. ადვოკატ ც. ჯ.-ის 2011 წლის 11 თებერვლის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

4.1.2. ადვოკატ ც. ჯ.-სა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს, ქ. ღ.-ს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; კერძოდ ადვოკატი ც. ჯ. გახლდათ სამეთვალყურეო საბჭოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი, ხოლო ქ. ღ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ო. ფ.-ს 2011 წლის 1 მარტის საჩივარი (მე-3 გვ; მე-2 აბზაცი)

2. ადვოკატ ც. ჯ.-ის წარმომადგენლის ქ. ღ.-ის ახსნა-განმარტება (2011 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი; მე-3 გვ;)

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა ადვოკატის ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ დაირღვა:

ა) ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა" .

ბ) ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

გ) ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია... ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნელივ აცნობოს ამის თაობაზე".

დ) ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას."

6.2. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კლიენტის ინტერესებს.

6.3. ეთიკის კომისია თვლის, რომ ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი; სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია თვლის, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად.

6.4. ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმეზე #057/10, 2011 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ."

6.5. ეთიკის კომისია თვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას (სარჩელზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, და ა.შ) და საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა).

6.6. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატ ც. ჯ.-ის განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე შეფასდა, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო, რადგან აღნიშნული განცხადება არ იყო კლიენტის მიერ მოწონებული და კლიენტის ინტერესს წარმოადგენდა საქმის განხილვა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

6.7. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე. განსახილველ შემთხვევაში, ო. ფ.-მ გააუქმა ადვოკატ ც. ჯ.-ისათვის მინიჭებული მინდობილობა მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ზემოთ აღნიშნული განცხადებით მიმართა სასამართლოს.

6.8. ეთკის კომისია თვლის, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქნების თაობაზე დაკმაყოფილდა, რადგან იგი სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, როგორც კლიენტის სურვილი და ამ გზით ზიანი მიადგა კლიენტის ინტერესებს.

6.9. ეთიკის კომისია უთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ის მოქმედებები, რომელიც წარმომადგენელმა გადაყენებამდე აწარმოვა, ძალაში რჩება". საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი ძალის მქონეა და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

6.10. ეთიკის კომისიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადვოკატი ც. ჯ. მოქმედებდა თავის კლიენტთან შეუთანხმებლად და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდიოდა კლიენტის ინტერესებთან, რაც დადასტურდა ო. ფ.-ს მიერ ადვოკატ ც. ჯ.-ისათვის რწმუნებულების გაუქმების გზით.

6.11. ეთიკის კომისიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი ო. ფ.-ს ინტერესების დაცვისას ქ. ღ.-ის წინააღმდეგ, რადგან ადვოკატ ც. ჯ.-სა და მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს, ქ. ღ.-ს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, რაც ადვოკატის მიერ დადასტურდა განხილვის კოლეგიის ეტაპზე მიცემული ახსნა-განმარტებით. ეთიკის კომისიამ აღნიშნული გარემოების დადასტურებისას მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატ ც. ჯ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ქ. ღ..

6.12. ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე #015/10, 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და იმოქმედოს მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.”

6.13. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ს კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა იმ პირის წინააღმდეგ, ვისთანაც აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა.

6.14. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობისა და ვალდებულებების არსებობა წარმოშობს საფრთხეს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დაყენებული იქნას ადვოკატის პირადი ან კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი.

6.15. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ც. ჯ.-მ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი და კლიენტის თანხმობის გარეშე მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და ყადაღის გაუქმება, რაც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებში შედიოდა.

6.16. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ უნდა დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს კლიენტის ინტერესების დაცვას და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის ურთიერთობა უკვე არსებობს, ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს.

6.17. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ც. ჯ.-მ განაგრძო კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება ქ. ღ.-ის წინააღმდეგ, რაც შესაძლოა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა.

6.18. ეთკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ც. ჯ. არ უნდა გამოსულიყო სასამართლო პროცესზე და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო უნდა შეეწყვიტა ო. ფ.-ს წარმომადგენლობის განხორციელება.

6.19. ეთიკის კომისიამ დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე მსჯელობისას შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის ქმედებებით არსებითი ზიანი არ მიადგა ო. ფ.-ს ინტერესებს. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და უშუალოდ ო. ფ.-ს დაუკავშირდა აღნიშნული მოთხოვნის დადასტურების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე” ქვეპუნქტით, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით და 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით; ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” მე-5 მუხლით და მე-8 მუხლის მე-5

პუნქტით. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის; 33-ე და 35-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ც. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

3. ადვოკატ ც. ჯ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაეწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე / დავით კაკაბაძე /

კოლეგიის წევრი /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი /გიორგი ბეგიაშვილი /